## დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისათვის:

კანდიდატმა ყველა დოკუმენტი უნდა წარმოადგინოს **ინგლისურ ენაზე.** თუკი საბუთი გაცემულია **მხოლოდ ქართულ ენაზე,** საჭიროა მისი თარგმნა და ნოტარიულად დამოწმება.

ყველა დოკუმენტი უნდა მომზადდეს **PDF ფორმატში** (თითოეული დოკუმენტის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 10MB-ს).

დოკუმენტების დასათაურება უნდა მოხდეს ქვემოთ მითითებული ინგლისურენოვანი დასახელებების შესაბამისად (მაგ.: Name Surname_Transcript of Records).

- ვალიდური პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი/Passport or ID Card;
- რეზიუმე/CV (სასურველია EUROPASS ფორმატში);
- შესაბამისი უცხო ენის მინ. B2 დონის კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატი/ცნობა/Language Certificate[1] (ენის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტების სრული ჩამონათვალი იხილეთ ბმულზე);
- მიმდინარე საფეხურის ნიშნების ფურცელი გაცემული უნივერსიტეტის მიერ/Transcript of Records;
- შევსებული სასწავლო ხელშეკრულება/Learning Agreement (თუ კანდიდატი არ გეგმავს საგნების აღებას/კრედიტების მოპოვებას, საკმარისია მხოლოდ კვლევის დასახელების მითითება):
  - სასწავლო ხელშეკრულების ფორმა: ჩამოტვირთვა
  - სასწავლო ხელშეკრულების მომზადების ინსტრუქცია იხილეთ ბმულზე;
- განახლებული აქტიური სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა/Proof of Enrollment;
- დამატებით სააპლიკაციო ფორმაში სტუდენტს მოეთხოვება მოტივაციის შესახებ კითხვებზე პასუხების გაცემა (კითხვები იხილეთ ბმულზე);
- სამაგისტრო საფეხურის დიპლომი/MA Diploma;
- სამაგისტრო საფეხურის დიპლომის დანართი (ნიშნების ფურცელი)/MA Diploma Supplement (transcript of records) (სავალდებულოა, რომ დიპლომის დანართში შეფასებები ასახული იყოს 100-ქულიანი სისტემით);
- მოთხოვნის შესაბამისად, წინასწარი თანხმობის წერილი მიმღები უნივერსიტეტის პროფესორისგან (საკმარისია ელ-ფოსტით მიღებული თანხმობა)/Preliminary Confirmation Letter;

---

[1] გაითვალისწინეთ, რომ კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში უნდა ჩანდეს მისი მინ. B2 კომპეტენცია ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (CEFR) მიხედვით.

- მშობლიური უნივერსიტეტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი კვლევის გეგმა/Research Plan:
    - კვლევის გეგმის ფორმა იხილეთ: ჩამოტვირთვა;
- ასეთის არსებობის შემთხვევაში, ეკონომიკური, სოციალური ან/და ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი ცნობა/Proof of disability, social or economic vulnerability (if relevant).